სს „სილქ ბანკი“ აცხადებს სერვის ცენტრების სარეკლამო აბრების დამზადება/მონტაჟზე სპეფიციკაციების (დანართ N2) შესაბამისად.
ტენდერის მიზანია გამოავლინოს დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას.

ტენდერის პირობები

- მომწოდებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაში ფასი უნდა იყოს გამოსახული ლარში, უნდა მოიცავდეს დემონტაჟისა და მონტაჟის ღირებულებას, ტრანსპორტირების/მოწოდების ხარჯებს საქართველოს მაშტაბით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.
- ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მომწოდებელი კომპანია ბანკის მიერ მითითებულ მისამართებზე;
- დანართი N2 მითითებული არის სტანდარტული ზომები (აბრის ესკიზის მიხედვით, შეიძლება დაკორექტირდეს ზომები)
- სარეკლამო აბრის საგარანტიო ვადა უნდა განისაზღვროს 3 წლის ვადით.

აუცილებელი მოთხოვნები

- კომპანიას უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში მოღვაწეობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. ასევე , უნდა ჰქონდეს შესრულებული მსგავსი პროექტი;
- კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შევსებული ტენდერის სააპლიკაციო ფორმა დანართი N 1;
- წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმა და წინადადება აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული;
- კომპანიის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და არ უნდა იყოს ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესში.

დამატებითი მოთხოვნა :
სასურველია მოხდეს ძველი აბრების დემონტაჟი და უტილიზაცია. აღნიშნული მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში გთხოვთ საფასური მიუთითოთ ფასების ცხრილში გათვალისწინებულ გრაფაში.
აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ტრანსპორტირება მოხდება სს “სილქ ბანკ”-სა და გამარჯვებულ კომპანიას შორის შეთანხმებულ მისამართზე.

ანგარიშსწორების პირობები

- შეკვეთის დასრულების(დამზადება/მიწოდება) შემდგომ გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას.
- მომწოდებელი ვალდებულია ანგარიში გახსნას სილქ ბანკში;
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;
- ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

გამარჯვებულის გამოვლენა
სატენდერო კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ ყველა სატენდერო წინადადებას და გამარჯვებულად გამოავლენს ერთ ან რამოდენიმე კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- შემოთავაზებული პროდუქციის ფასი;
- პროდუქციის ხარისხი/სპეციფიკაცია;
- მოწოდების ვადები;

- საგარანტიო პირობები;
- კომპანიის გამოცდილება.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერის პირობებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას არ განიხილოს შემოთავაზება.

მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დამატებითი დოკუმენტაცია:

- სარეკომენდაციო წერილები (მინიმუმ 3 კომპანიის);
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, გამოცდილება, კლიენტების სია (თავისუფალი ფორმით)

თანდართული დოკუმენტაცია :

დანართი N1 - ტენდერის სააპლიკაციო ფორმა ;
დანართი N2 - ფოტომასალა და სპეციფიკაცია
დანართი N3 - ფასების ცხრილი
დანართი N4- ფილიალების მისამართები

შემოთავაზებების მიღების წესი

შემოთავაზება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოთ სს სილქ ბანკის სათაო ოფისის კანცელარიში, 26 აპრილს დილის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
მისამართი - ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2.

წარმოსადგენ დალუქულ კონვერტზე აუცილებელი მონაცემები

- ტენდერის სახელწოდება
- კომპანიის სახელწოდება
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- საკონტაქტო ინფორმაცია (პასუხისმგებელი პირი, ტელეფონი და ელ.ფოსტა)

ამავდროულად, გთხოვთ სატენდერო წინადადება ასევე გამოაგზავნოთ ელექტრონული ფორმით 29 აპრილს შემდეგ ელ.ფოსტაზე procurement@silkbank.ge
დოკუმენტის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით, კითხვები შეგიძლიათ მოიწეროთ procurement@silkbank.ge მისამართზე ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელ. ნომრებზე:

- ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი - შალვა ლეჟავა ტელ: 577362888
- ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტი - ელენე მუსხელიშვილი 577372939

მადლობა დაინტერესებისათვის